პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 34 (18276) ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალვკვეთოთ უყაირათობა

მხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე, როცა თავის სიტყვაში ხუთწლედის მეორე წლის გეგმების შესრულების გზებზე ლაპარაკობდა, უპირველესად ყველა სახეობის რესურსების უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმის აუცილებლობაზე მიგვითითა. მან აღნიშნა, რომ ნელა იცვლება პროდუქციის მასალატევადობა და ნელა მცირდება მისი თვითღირებულება. ერთი სიტყვით, კიდევ ბევრი და შეუპოვარი მუშაობა მოგველის იმისათვის, რომ ეკონომიკა ნამდვილად ეფექტიანი გახდადოთო. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა მოუწოდა ყველა საწარმოო კოლექტივს, სამეურნეო ხელმძღვანელს, ყველა პარტიულ კომიტეტს კიდევ მეტი შეუპოვრობით. იბრძოლონ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

მომჭირნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ყურადღება გამახვილდა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე. კერძოდ, ითქვა, რომ ჩვენი ცალკეული საწარმოები, არათუ არ ასრულებენ მომჭირნეობის დავალებებს, არამედ ზედმეტს ხარჯავენ ზოგიერთ დეფიციტურ მასალას. მათ შორის დაასახელეს ფოთის ელექტრომაგნიტური მაძლიერებლების და შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნები. ამ უკანასკნელი საწარმოს მისაბარათოთ კი ამ მხრივ მხოლოდ სინანული შეიძლება გამოითქვას: საქმე ის არის, რომ შორაპნელმა მეელემენტეებმა ამ ბოლო ხანებში დაძლიეს მრავალწლიანი ჩამორჩენა და ახლა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით დავალებებს გადაჭარბებითაც კი ასრულებენ. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ არ ვარგა ის, რომ გეგმის შესრულება მასალების გადახარჯვის ფასად გვიჯდება. საწარმოში ახლა გულწრფელად განიცდიან საქმის ასეთ ვითარებას და ჩვენც იმედს გამოვთქვამთ, რომ მეელემენტეები ყველაფერს იღონებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

არავის ეგონოს, რომ ზემოხსენებულ საწარმოებში უყაირათიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებული საგანგაშო მდგომარეობა იყოს. არა, ეს არ იქნებოდა სწორი. ნედლეულის, ელექტროენერგიის, სათბობისა და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვა რესპუბლიკაში თითქმის ჩამოსათვლელ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შუა შეუძლიათ დაიტრაბახონ. ძალიან ცოტაა საწარმო, რომლებსაც აქვთ ყაირათიანობის გამიზნული, კომპლექსური პროგრამა და ხელმძღვანელობენ მისით ყოველდღიურ მუშაობაში. საერთო მდგომარეობა ამ მიმართულებით სახარბიელო ვერ არის.

მასალების ეკონომიურ ხარჯვასთან დაკავშირებული გეგმები, რომლებიც სამრეწველო საწარმოებს, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს ეძლევათ, შესაძლებლობაზე დაბალია, დარგობრივი სამინისტროები ჯერჯერობით არ ზრუნავენ ამ საკითხის მოსაგვარებლად. მასალებისა და ნედლეულის ეკონომიური გამოყენების აღრიცხვა დაბალ დონეზეა, მთელ რიგ საწარმოებში იგი დღემდე თვითდინებაზეა მიშვებული. რატომ არ უნდა გაიგოს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, რომ ცხოვრების დღეკანდელ ეტაპზე ამ საკითხს პრინციპული, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. სოციალისტურ ვალდებულებებში მომჭირნეობასთან დაკავშირებული პუნქტები ბოლოშია მოქცეული და ორი სიტყვით არის ნაფერადი, რომ წლის ბოლოდან, ვთქვათ, ესა თუ ის კოლექტივი ამდენსა და ამდენ ტონა ლითონს ან სათბობს დაზოგავს. საქმუშაოდ, ვალდებულებაში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა გზით აპირებენ მომჭირნეობის განვეას, სოციალისტური შეჯიბრების რა ფორმები იქნება გამოყენებული მიზნის მისაღწევად და სხვა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მასალების ეკონომიურ ხარჯვასთან დაკავშირებული გეგმები დაბალია, და ეს ცუდია. კიდევ უფრო უარესი და სრულიად მიუღებელია ის, რომ ვერც ეს დაბალი გეგმები სრულდება. მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს, მაგალითად, რესპუბლიკაში, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების მიხედვით, საწარმოებში დაიზოგა 206 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, რაც გეგმის 3,6 პროცენტია. ასევე დაბალი იყო ყაირათიანობის მაჩვენებელი შორაპნში. შარმანდელი თერმეტი თვის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რესპუბლიკაში დაიზოგა დავალებით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად ნაკლები მასალა და ნედლეული. შავი ლითონების ეკონომიის გეგმა — 52,3 პროცენტით, ცემენტისა — 64,7 პროცენტით, საქვაბე-საღუმელო სათბობისა — 56,1 პროცენტით, ელექტროენერგიისა — 33,8 პროცენტით, სადიზელო სათბობისა — 40,4 პროცენტით, ხოლო ავტობენზინისა — 52,4 პროცენტით შესრულდა. გადაიხარჯა დიდი რაოდენობის თბოენერგია.

საბედნიეროდ, ამ მაჩვენებლების მართვის სისტემა ჩვენში არ მოქმედებს. მატერიალური რესურსების ხარჯვისათვის დაუყოვნებლივ უნდა დაინყოს მიზანდასახული მუშაობა და მასში მონაწილეობა მიიღოს ყველამ — მუშით დაწყებული და მინისტრით დამთავრებული. ამ საკითხს მტკიცე პარტიული კონტროლი უნდა დაეუნესოთ, ეს უნდა გახდეს პარტიის სალოქმო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების უპირველესი საზრუნავი.

ცნობილია, თუ რა დიდი ადგილი დაეთმო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვას, ადგილობრივი სახეობის ნედლეულისა და მასალების გამოყენებას, მეორეული რესურსების უტილიზაციას. ბუნებრივია, რომ ამ საკითხს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმიც ეზეიმა. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში შეიქმნა „საქმეორეულ რესურსების" საკმაოდ დიდი სამმართველო, რომელსაც ბევრი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. აღნიშნულმა სამმართველომ მრავალი საორგანიზაციო და ტექნიკური ხასიათის ღონისძიება განახორციელა, მაგრამ ეს მხოლოდ მისი პირველი ნაბიჯებია. ორგანიზაცია დაკომპლექტებულია გამოცდილი, საქმის მცოდნე ხელმძღვანელი კადრებით, და მაოგან ბევრსაც მოველით.

„კომუნისტის" რედაქციაში, ისე როგორც ნინათ, ახლაც შეიფინა ბევრი ნერილი ნედლეულისადმი, მეორეული რესურსებისადმი უყაირათო დამოკიდებულების შესახებ. ავტორები აღნიშნავენ, რომ სუსტადაა ორგანიზებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების, მაკულატურის შეგროვება და გადამუშავება, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის შეჯიბრების ორგანიზაციაში.

ეშკერი, ყაირათიანობის თვალსაზრისით, გაცილებით საგრძნობი იქნებოდა, საქმეში მეტი თადარიგი რომ დაგვეჭირა და მეურნეობრივი მიდგომა გამოგვეჩინა. ყველგან არ იცავენ მონაცემების მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმს, მოქმედებენ ძველი არაკომიტეტური აგრეგატები და ძრავები, მაქსიმალურად არ ანაწილებენ ტვირთვები, ბრძოლებს ელექტროენერგიის ფლანგვა. მთელი რიგი ორგანიზაციები, მაგალითად, ყოფილ ბაკურიანის მრეცხველების გარეშე ხარჯავენ ელექტროენერგიას, ვერ ეტეკვა დანესებულ ლიმიტში ათობით სამრეწველო ობიექტი, სატრანსპორტო, სამშენებლო და სავაჭრო ორგანიზაცია.

სამინისტროების განსაკუთრებული საზრუნავი უნდა გახდეს თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების, მუშაობის უფრო ეკონომიური მეთოდების, ნედლეულის ეფექტიანი გამოყენება. სკკპ XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებულ ძირითად მიმართულებებში ასეთი ამოცანები დასახული აქვს არსებითად ყოველ დარგს. ახლა საჭიროა შემუშავდეს პროგრესული მოწყობილობანი და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის, კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების კონკრეტული გეგმები.

ეფექტიანმა ხუთწლედი ძალას იკრებს. მუშაობის პროცესში ბევრი ტექნიკური და ეკონომიკური დაბრკოლების გადალახვა ბევრივეზეა. გვახსოვდეს, რომ სირთულეებს უფრო ადვილად დაეძლევი, თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ არსებულ რეზერვებს, დაეზოგავი ლითონს, სათბობს, კონვეიერსაცალ ენერგიას.

ყველგან და ყველაფერში ყაირათიანობა დროის მოთხოვნაა. სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისადმი ნაკისრ ვალდებულებებში ყაირათიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. ყოველნაირად წავასახლისოთ მომჭირნეობისთვის ბრძოლაში გამარჯვებული მუშები და მოსამსახურეები!

სამშობლოს სასახელოდ

თბილისის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1982 წლისათვის

საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა შარშან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, ღირსეულად გაართვეს თავი სახელმწიფო დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. ქალაქის მრეწველობამ 28 დეკემბერს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციისა და ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 35 მილიონი მანეთის და რეალიზებულია 35,5 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ეს ბეჭრად აღემატება სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებულს.

ქალაქის მშრომელები, რომლებიც ისეგე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ხელმძღვანელობენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, პასუხად პარტიის მოწოდებისა აღინიშნონ მეთერთმეტე ხუთწლედი დამკვიდრური შრომით, ისწრაფვიან ახალი საწარმოო საჩუქრებით შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს, გორგიევსკის ტრაქტორის მე-200 წლისთავს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური, კომიტეტის ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილების მე-10 წლისთავს.

რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს ათიათასობით მშრომელმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება დევიზით „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს—60 დამკვიდრებური კვირა" გადაწყვიტეს გაამრავლონ თბილისის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევის საქმეში მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს მიღწეული წარმატებანი.

ქალაქის მრეწველობის შრომითმა კოლექტივებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი წარმოების ნოვატორთა ხაოსნობას, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება გაშალონ მორბაობა, რათა ათიათვენ უფლება აღინიშნონ გამოშვებული პროდუქცია, პრესტიჟიანი ემბლემით — „გაკეთებულია თბილისში".

ბუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით, დადგენენ შრომის ეახტზე სსრ კავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად და 1982 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

— ვადამდე, 28 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და უმეტეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა;

— უზრუნველყონ სამრეწველო წარმოების ზრდა 4,8 პროცენტით გეგმით გათვალისწინებული 4,5 პროცენტის ნაცვლად. დამატებთ დაამზადონ და გაიყიდონ 35 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია;

— 2 პროცენტით გადაჭარბონ შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალება და ამის შედეგად მიიღონ 85 პროცენტი სამრეწველო პროდუქციის მატება;

— გაზარდონ მასობრივი მოთხოვნილების კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ დანიშნულების საქონლის წარმოება, გაფართოონ მისი ასორტიმენტი და გაიუმჯობესონ ხარისხი. აითვისონ და გამოუშვან სულ ცოტა 500 ახალი და სრულყოფილი მანქანა, ხელსაწყო და მასობრივი მოთხოვნილების ნაწარმი, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე მოთხოვნებს;

— მიაღწიონ იმას, რომ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭოს 140 სახეობის ნაწარმს, მათ შორის 100 სახეობის სახალხო მოხმარების საქონელს;

— უზრუნველყონ წარმოების ინტენსიფიკაცია და ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ეფექტიანობა, დადგან და საექსპლოატაციოდ გადასცენ სამრეწველო საწარმოებში სულ ცოტა 50 ავტომატური, მექანიზებული და საკონვეიერო ხაზი, 700 ერთეულზე მეტი ახალი დიდმწარმოებლური მოწყობილობა, გაანახორციელონ 300 რაციონალიზაციისა და ავტორეგატის მოდერნიზაცია, ქალაქის სახალხო მეურნეობაში შეამცირონ ხელის შრომის დონე 1,2 პროცენტით, ამის შედეგად გაათავისუფლონ და ხელის შრომიდან მექანიზებულ შრომა გადაიყვანონ დაახლოებით 3.000 კაცი, მიიღონ 5 მილიონ მანეთისაზე მეტი პირობითი წლიური ეკონომია;

— დანერგონ წარმოებაში 3500 რაციონალიზატორული წინადადება და მეცნიერების უახლესი მიღწევა, ამის შედეგად მიიღონ სულ ცოტა 5,5 მილიონი მანეთის წლიური ეკონომია. ქალაქის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით გეგმის გადაჭარბებით მიიღონ 5 მილიონი მანეთი მოგება. მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების გზით დაზოგონ 2300 ტონა შავი და ფერადი ლითონები, 10 ათასი ტონა სათბობი (პირობითი ერთეული), 15 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია;

— გაანალიერონ საშეფო დახმარება სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი. აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახოფლო-სამეურნეო სამუშაოებში;

— ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებამ შეასრულოს წლიური დავალება ვადამდე, 30 დეკემბერს, და წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გადაზიდოს 100 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი;

— თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენმა ვადამდე, 28 დეკემბერს შეასრულოს წლიური გეგმა და წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გადაიყვანოს 500 ათასი მგზავრი.

— ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებმა აიღონეს შემდეგი ვალდებულებანი;

— ვადამდე — 10 დეკემბრისათვის შეასრულონ საიჯარო სამუშაოთა წლიური გეგმა და წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ 25 მილიონი მანეთის სამუშაოთა მოცულობა.

— გეგმის დამატებით აითვისონ 1,5 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებანი.

— უზრუნველყონ გეგმის გადაჭარბებით საექსპლოატაციოდ 5 ათასი კვადრატული მეტრი ბინების გადაცემა და „ყარგი" და „ფრიადი" შეფასებით სულ ცოტა 80 პროცენტი საცხოვრებელი სახლების ჩაბარება;

— გაერთიანება „თბილისკალამშენის" მშენებელთა შორის ბრიგადული იჯარის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი გაზარდონ 95 პროცენტამდე;

— მიაღწიონ იმას, რომ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეების, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საქალაქო მეურნეობის ობიექტების ამოქმედების ვადები;

— ვადამდე, 23 დეკემბერს შეასრულონ სახელმწიფო ვაჭრობის, მათ შორის საზოგადოებრივი კვების საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა და დამატებით გაყიდონ 19 მილიონი მანეთის საქონელი. უზრუნველყონ საქონელბრუნვის ზრდა შარშანდელთან შედარებით 5 პროცენტით გეგმით გათვალისწინებული 4,2 პროცენტის ნაცვლად, მიიღონ 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებმა 30 დეკემბერს შეასრულონ საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის საგეგმო დავალებანი და ქალაქის მოსახლეობას გაუწიონ 200 ათასი მანეთის დამატებითი მომსახურება. მიიღონ 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება;

ქალაქის სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივებმა მეცადინეობა მოაწმარონ ქალაქის სახალხო მეურნეობისათვის სამეცნიერო გამოკვლევათა პრაქტიკული უკეგგების ამაღლებას, საწარმოო კოლექტივებთან საქმიანი ურთიერთობის განმტკიცებას, სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხის გაუჯობესებასა და მათი შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვის ვადების შემცირებას;

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა ყოველი ღონე იხმარონ, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესონ მოსახლეობის სტაციონარული და პოლიკლინიკური სამედიცინო მომსახურება, ავადობის პროფილაქტიკა, ყოველმხრივ დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები საწარმოო და საყოფაცხოვრებო სფეროში.

ქალაქ თბილისის მშრომელები, რომლებიც კისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს 1982 წლისათვის, კიდევ უფრო აამაღლებენ პარტიულ-ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონეს, მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომლებიც განაგრძობენ შეჯიბრებას ეზიზბიანსის, სოხმეთის მომძე რესპუბლიკათა დედაქალაქებისა და ქალაქ სვერდლოვსკის მშრომელებთან, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა კვლავაც განამტკიცონ ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა უძლეველი მეგობრობა და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

სოციალისტური ვალდებულებანი განიხილეს და მიიღეს ქალაქ თბილისის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლეგიებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრებებმა. (საქინფორმი).



სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია თბილისის კამკოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივმა.

წლის დამდეგიდან აქ გამოშვებულია 800 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლისათვის იკისრა სოციალისტური ვალდებულება გამოუშვას 600 ათასი მანეთის ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი ქსოვილები.

საწარმოში დღითი დღე იზრდება იმ მუშების რიცხვი, რომლებიც გამომუშავებას დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ.

□ □

სურათებზე: კამკოლ-მაუდის კომბინატის საქსოვი საამქროს მოწინავე მქსოველი მ. ყანჩელიშვილი, რომელიც ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 247 მეტრი ქსოვილის ნაცვლად 260-280 მეტრს ქსოვს. ქვემოთ — მოსამზადებელი საამქროს საქმელავი უბანი.

ხ. კილაძის ფოტო.

სასურსათო პროგრამა მოქმედებს

საკუთარი ხორცი, რძე, გოსტნეული

ბორჯომი. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" მრავალათასიანი კოლექტივი თავის მთავარ საქმიანობას —საქვეყნად გახთქმული მინერალური წყლის „ბორჯომის" ჩამოსხმასა და მის რეალიზაციას — საქმიანად უსამებს დამმსარე მეურნეობის გაფართოებისა და მისი ეკონომიკის განმტკიცების საქმეს.

ბორჯომელების დამხმარე მეურნეობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეღორეობის ჩინებულად მოვლილი ფერმებია.

გაერთიანების მეეცხოველეებმა ფერმებში გასულ წელს 7.300 კილოგრამი რძე აწარმოეს, აქედან 3 ათასი კილოგრამი რძე გაერთიანების სბაავშვო ბაღებს მიაწოდეს, დანარჩენი — მუშათა სასადილოებს.

მეღორეობის ფერმაში, სადაც ახლა 270-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის ღორია, ყოველთვიურად ნახევარ ტონამდე ხორცს ამზადებენ და მუშათა სასადილოებში გზავნიან.

მსმენოიარობაში შედის ხეხილის ბაღი და ათასძირიანი ვაზის ხეივანი. ამჟამად სწრაფი ტემპით შენდება საობური. გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებს, სბაავშვო ბაღებსა და მუშათა სასადილოებს წლის ყოველ დროს საკუთარი წარმოების იაფი ბოსტნეულით მომარაგებენ.

ბ. ბაუაკიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

მსვნელ-მთესველთა ზამთრის ვასტი

ზნაური. მუგუთელ კოლეგურნე მექანიზატორებისათვის თოვლი დაბრკოლება არ არის. მათ დაიწყეს საშემოდგომო ნათესებში მინერალური სასუქების შეტანა. მინდვრებში აგრეგატები პირველმა გაიყვანეს რაიონის საქსოფლტექნიკის გაერთიანების მექანიზატორებმა შ. გაბარაევმა, მ. ბეგიაშვილმა, შ. კოკოიკაშ. ისინი 400 ჰექტარ ფართობს დაამუშავებენ.

საშემოდგომო კულტურების ნათესებში მინერალური სასუქების განმორეგინოთ შეტანას შეუდგნენ სამხრეთ ოსეთის სხვა მეურნეობებიც. (საქინფორმი).

სუსხიანი სტრიქონები

მანდარინი ლეგა, ვინ არის დამნაშავე?

ბაბრის ზონის განთიადის საკონსერვო ქარხანის ეზოში ღია ცისქვეშ, ერთმანეთზე დაწყობილ ყუთებში, მანდარინი... ლეგბა. გლეხკაცის მთელი წლის გარჯით მოყვანილი ოქროსფერი ნაყოფი უკვე ნაცრისფერი გამხდარა.

ახლა, როცა ამ ნაყოფზე მზარდი მოთხოვნილებაა, თანაც ასე მწვავედ დგას სასურსათო პრობლემა, საკითხავია, ვინ არიან ისინი, ვინც ასე გულგრილად ეკიდება სახალხო დოვლათს?

— ზარალი ცოტა რადა, — გვეუბნება ქარხნის დირექტორი ი. მარაქველიძე, — 70 ტონა მანდარინიდან ნახევარზე მეტი უკვე გაფუჭდა, ხოლო რა ბედი მოელის დანარჩენს, გაურკვეველია. რა ვქნათ, ვერც გადამუშავებას ვასწრებთ, ვერც კონცერვაციის დროულად გაგზავნას...

აქ რომ ციტრუსების კრეფის სეზონის დაწყებიდანვე ქარხანაში ნაყოფის შემოზიდვის ოდრე შემუშავებული გრაფიკი დაეცვათ, ყოველივე ეს შეიძლება არ მოხდარიყო და მოსავალი უდანაკარგოდ გადაემუშავებინათ. ამას ისიც დამატა, რომ ამ ქარხნის მწარმოებლური შესაძლებლობის გათვალისწინებლად სოხუმიდან, ბულბოეშიდან და სხვა რაიონებიდან ზედიზედ მოდიოდა მანდარინით დატვირთული რკინიგზის ვაგონები და ავტომანქანები.

დღეს ქარხანაში მდგომარეობა საგანგაშოა. საკმარისია ითქვას, რომ საამქროში დაგროვდა 120 ტონაზე მეტი შებოლილი მანდარინი, მაგრამ მის დროულ გადამუშავებას და დანიშნულებისამებრ გაგზავნას ვერ ასწრებენ. ამ ძვირფასი ნედლეულის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია (ჯერ კიდევ რომ გადამუშავონ), მაგრამ ამისთვის ქარხანას არ გააჩნია ტექნიკური დოკუმენტაცია და არც სათანადო გასაკვალეულება მოუღიათ გაერთიანების ხელმძღვანელობისგან. ქარხანაში შექმნილ ძნელ მდგომარეობაზე არაერთხელ გაგაგზავნა წერილი, დაეპუა საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქკონსერვმრეწველი" და აგრონომრეწველი გაერთიანება „იფსუხნელობისტეელის" ხელმძღვანელობის მისამართით, მაგრამ პრაქტიკული დახმარება და ზომები ჯერჯერობით არ ჩანს.

ერთი საკითხეკ. სასაწყობო ფართობის ნაკლებობის გამო არა მარტო ნედლეული, არამედ მზა პროდუქციაც საკალაო მდგომარეობაშია. აქ დიდი რაოდენობით იდო მომზმარგლისათვის გასაგზავნად ისეთი სათუთი საკეკი პროდუქტები, როგორიც არის ხილფაფა, მანდარინის წვენი. საამქროებში ადგილი ამ ნაყოფს ვერ ეტევა, ეს ნაყოფი ეზოში ყრია, ეზოში ეყარა ეს ნაყოფი, ეზოში ეყარა ეს ნაყოფი, ეზოში ეყარა ეს ნაყოფი

განვითარებული სოციალიზმი და დრო

ფასდაუდებელი სიმდიდრე

„დრო, რომელის განმკარგულებელი ვინა ვარ, მარტო შენ არ გეკუთვნის. იგი სახალხო ქონებაა. ვნილებაა, საშუალოზოლის სიმდიდრეა, ბაბილონი იგი ისე როგორც საშუალო ...

ე. ა. შევარდნაძე

ახალგაზრდობასთან საუბარში შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

დრო — პირადი და საზოგადოებრივი

სოციალიზმი საზოგადოებაში პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს თავისუფალი შემოქმედებითი შრომა, ამასთანავე მნიშვნელოვანია არა საშუალო დროის და განსაკუთრებით მისი შემადგენელი ნაწილის — თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება.

დრო, როგორც მოძრაი მატერიის არსებობის - ობიექტურად რეალური ფორმა, ფილოსოფიური კატეგორიაა. მატერიალური პროცესები მიმდინარეობს დროში „ერთიმეორის შემდეგ თანამიმდევრობის ფორმით" (ფ. ენგელსი). ეკონომიკაში დრო განიხილება არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად იმის სათანადო გათვალისწინებით, რომ ყოველგვარი მატერიალური და სულიერი ფასეულობა დროში იწარმოება.

საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების განვითარების დაბალი დონის პირობებში ადამიანის აქტიური ცხოვრების თითქმის მთელი ნაწილი სამუშაო დროს მოჰქონდა. თავისუფალი დრო მხოლოდ გაბატონებული კლასისათვის არსებობდა. „კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებამ სამუშაო დროის შესწავლის საკითხი იმთავითვე უფრო დღეების ცენტრში დააყენა. ამას მხოლოდ მას შემდეგ მიაქციეს ყურადღება, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნის, დაგროვების, განაწილებისა და მოხმარების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ფაქტორმა და პროლეტარიატის შეუპოვარმა ბრძოლამ განაპირობა სამუშაო დროის რამდენადმე შემცირება. უკვე აქედან მოყოლებული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებმა ყურადღება დაუთმეს თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხს.

ეკონომიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდძალი თანხები იხარჯება დასვენებასა და გართობაზე, ოღონდ ეს კი[illegible] ეგრეთ წოდებული „თავისუფალი დროის ინდუსტრია" დიდ მოგებას ითვალისწინებს, ამასთან იგი გამოიყენება მშრომელთა რამოსაორგანოდ კლასობრივი ბრძოლისაგან, ამიტომ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს უხდებათ კლასობრივი ბრძოლა ყველა იმ იაფფასიან მორალურ-ესთეტიკურ და იდეოლოგიურ ფასეულობათა წინააღმდეგ, რომლებსაც ინფორმაციის ყველა საშუალებით ბურჟუაზია მშრომელ მასებს სთავაზობს.

სოციალიზმის პირობებში ტექნიკის მძლავრ განვითარებასა და სამუშაო დროის შემცირებასთან ერთად არსებითად იცვლება შრომის ფორმასთან — შრომა სულ უფრო საინტერესო ხდება და სამუშაო დროში ადამიანის მრავალმხრივი შემოქმედება' მთელი სისრულით გამოვლენის ფართო ასპარეზს პოულობს. თავისუფალი დროის, მისი რაციონალური გამოყენების პრობლემას მშრომელები ასევე თავისი ინტერესების შესაბამისად წყვეტენ.

სამუშაო დღის შემცირება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, საჭიროა იმისათვის, რომ მშრომელს ჰქონდეს დრო „დასასვენებლად, თავის განსავითარებლად," თავისი უფლებების გამოსაყენებლად, როგორც ადამიანს, მეოჯახეს და როგორც მოქალაქეს". ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია რეალურად იქცა.

მშრომელთა არასამუშაო დროს ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, როდესაც ვ. ი. ლენინის მეთაურობით შემუშავდა სოციალური გამოკვლევების ფართო პროგრამა. მშრომელთა დროის ბიუჯეტის შესწავლა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი კოჭრტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა იყო.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ამკიმად გავრცელებული კლასიფიკაციით, მშრომელთა დროის მთელი ფონდი ორ ნაწილად იყოფა: სამუშაო და არასამუშაო დროდ. არასამუშაო დრო მოიცავს მთელ იმ დროს, რომელიც რჩება ინდივიდის განკარგულებაში სამუშაო და ზელმეტი სამუშაო საათების გამოკლების შემდეგ. მაშასადამე, არასამუშაო დროდ ითვლება. დროის საერთო ფონდისა და სამუშაო დროის სხვაობა. არასამუშაო დრო, თავის მხრივ, ოთხ ნაწილად იყოფა: წარმოებაში მუშაობასთან დაკავშირებული არასამუშაო დრო (ბინიდან სამუშაო ადგილზე მისვლა და უკან დაბრუნება, საღილის შესვენება და სხვ.), ოჯახურ შეურნეობასა და ოჯახის გაძღოლაზე დახარჯული დრო, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დახარჯული დრო (ძილი, ჭამა, პირადი პიგიენა) და თავისუფალი დრო.

სოციალისტური საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელთა სამუშაო და არასამუშაო დროის პრობლემას. „XXVI ყრილობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა იმისათვის, რომ ადამიანთა შრომა არა მარტო ნაყოფიერი, არამედ აგრეთვე უფრო შინაარსიანი, საინტერესო და შემოქმედებითი იყოს, ამასთან საჭიროდ მიიჩნია სამუშაო დროის უფრო სრულად, უფრო რაციონალურად გამოყენება, მისი არაშეწარმოებლური დანახარჯებისა და დანაკარგების შემცირება. ყრილობამ ფართო პროგრამა დასახა საოჯახო შეურნეობაში მუშაობის შესამსუბუქებლად, მიმდევე ქალთა შრომის პირობების, დასვენებისა, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე შშრომელთა თავისუფალი დროის გასადიდებლად. შშრომელ ადამიანებზე ჩვენი პარტიის უდიდესი ზრუნვა და შრომისა და დასვენების ფართო კონსტიტუციური უფლებები, თავის მხრივ, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ავალდებულებს გაუფრთხილდეს დროს, კეთილსინდისიერად ბარეოს თითოეული წუთი, ჯეროვანი პასუხისმგებლობის გრძნობით აკეთოს მინდობილი საქმე, ამრავლოს სახალხო დოვლათი.

დროის ყირაოთიანად გამოყენების მნიშვნელობა განუზომელია, რადგან, როგორც კ. მარქსი გვასწავლა, ყოველგვარ ეკონომიას საბოლოოდ დროის ეკონომიად მივყავართ. დროის ეკონომიის საკითხები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, რომელიც თანაბრად ეხება როგორც მთელი საზოგადოების, ისე ყოველი მისი წევრის საქმიანობას. დროის ნაყოფიერი და ეონიერული გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისათვის, მთელი საზოგადოებისათვის. განვითარებული სოციალიზმის პირობებში დროის ეკონომიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. დრო არა მარტო პირადი, არამედ საზოგადოებრივი სიმდიდრეც არის და, ამდენად საზოგადოებისათვის, კოლექტივისათვის სულ ერთი რიდია, თუ როგორ და რაზე იხარჯება ეს ფასდაუდებელი სიმდიდრე.

საშუალო

დროის ფასი

დრო ხშირად უმიზნოდ, ფუჭად იკარგება. და ამით იკარგება მიღიონობით მანეთის პროდუქცია, სახალხო დოვლათი, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობანი.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, წესრიგისა და ორგანიზებულობის გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დიდად განვითარებული წარმოების პირობებში ცალკეულ მუშაკთა სამუშაო დროის დანაკარგები ახლა ბევრად უფრო უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების რიტმულ მუშაობაზე, ვიდრე წინათ, მნიშვნელოვნად აძცირებს შრომის საბოლოო შედეგებს, „შედგამ უურადღების ცენტრში უნდა ვიქონიოთ შრომის დისციპლინასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — არ უნდა დავუშვათ სულ მცირე ფორმალური დამოკიდებულებაც კი ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისადმი. თანამედროვე საზოგადოებრივ წარმოებაში, რომელიც აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, განსაკუთრებით გაიზარდა შრომის დისციპლინის როლი. ახლა მოცდენის, არაკეთილსინდისიერებას და შეცდომებს სულ სხვა ფასი აქვს. ერთია, ვთქვათ, ნინჩიანი ადამიანის ნახევარსაათიანი მოცდენა და სულ სხვა რამეა ნახევარსაათიანი მოცდენა კაცისა, რომელიც მუშაობს მძლავრი ექსკავატორით, კომბაინით, კომკერა ამწეთი. ეს სულ სხვადასხვა რამეა".

ამკიმად მთელ საბჭოთა კავშირში შშრომელებმა თითო საშუშაო დღე რომ გააცდინონ, ქვეყანას დააკლდება 3537 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ათი თასამთელი ტონა ნავთობი, 404 ათასი ტონა ფოლადი, 6009 ავტომობილი, 1516 ტრაქტორი, 342 ათასი ტონა ცემენტი, 2 მილიონ წყვილზე მეტი ტყავის ფეხსაცმელი და ა. შ. ასეთია ამკიმად ერთი სამუშაო დღის ფასი — „ყველაფერი ეს ხომ ერთ დღეში იწარმოება.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისათვის. ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები. მაგალითად, მრეწველობაში სამუშაო დროის პირდაპირი დანაკარგები 1980 წელს 1970 წლის სათანადო მაჩვენებელთან შედარებით ორჯერ შემცირდა. თუ 1970 წელს ეთან მუშაზე 5,8 კაცდღე დაიკარგა, 1980 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა.

არასასურველი მდგომარეობა გვაქვს სოფლის მეურნეობაში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უფრესად დაბალია გამომუშავებული კაცდღეების საშუალო მაჩვენებელი, რომლის მიხედვით „უკვე წლების განმავლობაში საკვანძო მასშტაბით ბოლო, მეთხუთმეტე ადგილზე ვიმყოფებით. თუ 1980 წელს რესპუბლიკაში ერთმაგ კოლმეურნეობაში საშუალოდ 175 კაცდღე, ხოლო საბჭოთა მეურნეობის შუშაში 210 კაცდღე გამოიუშავა, საშუალო საკავშირო მაჩვენებელი შეესაბამისად 255 და 276 კაცდღეს შეადგენს. კიდევ უფრო დამფიქრებელია ის გარემოება, რომ ათასობით კოლმეურნე წლების განმავლობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივ შრომაში. მაგალითად, რესპუბლიკაში 1980 წელს 6164 კოლმეურნეს არც ერთი კაცდღე არ გამოუმუშავებია. განსაკუთრებით მაღალი ეს მაჩვენებელი რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში ერთი კაცდღე არა აქვს გამომუშავებული 1284 კოლმეურნეს.

სამუშაო დროის მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს კადრების დენადობა — იგი არღვევს წარმოების პროცესის რიტმს, იწვევს მანქანა-დანადგარების მოცდენას, ცდება თვით მუშაკი ახალ სამუშაოზე მოწყობილობაზე. მეცირდება შრომის ეფექტიანობა, როგორც სწორმოდან წასვლის წინა პერიოდში, ასევე ახალ ადგილზე სამუშაო პროცესების სათანადო ათვისებამდე.

ეკონომისტების გამოანგარიშებით, მუშაკთა პროფესიის შეცვლა, ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადასვლა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში წელიწადში სამი-ოთხი მილიარდი მანეთის ზარალს იწვევს. თავისთავად ცხადია, რომ კადრების არაორგანიზებული მოძრაობის შემცირება დიდ ყურადღებას საჭიროებს, შესაბამის ღონისძიებებს მოითხოვს.

მაროალია, კადრების დენადობა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ საგრძნობლად მეტია, ვიდრე საშუალო საკავშირო მაჩვენებელი, განსაკუთრებით მშენებლობაში და მრეწველობის ზოგიერთ დარგში.

კადრების დენადობა მნიშვნელოვნად განსხვავდება მუშაკთა ასაკის მიხედვით, განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდა კადრების დენადობა. ეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. ახალგაზრდობა ძიების პროცესშია, ცდის თავის შესაძლებლობებსა და ძალებს, სპეციალისტთა გამოკვლევით, მუშაკთა კადრების დენადობაში ახალგაზრდების წილად 70-80 პროცენტი მოდის. მაგალითად, 1980 წელს ქარხანა „თბილელექტროენერგეტიკაში" ახალგაზრდა კადრების დენადობამ მთელი დენადობის 78,7 პროცენტი შეადგინა, ხოლო გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში —83,3 პროცენტი. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საწარმოებშიც.

ახალგაზრდა კადრების დენადობის მიზეზი ისიც არის, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიმართ, რომელსაც პროფესიულ-ტექნიკიური სასწავლებლები ამზადებენ, ზშირად ამა თუ იმ საწარმოს ხელმძღვანელობა ვერ იჩენს სათანადო მზრუნველობას, არ უქმნის მათ შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალურ პირობებს, ანგარიშს არ უწევს ახალგაზრდობის მისწრაფებებს.

მეტწილად კი, სამუშაო დროის დანაკარგები მაინც იმის შედეგია, რომ მშრომელთა ერთი ნაწილი (განსაკუთრებით ახალგაზრდები) არ უფრთხილდება დროს, არ ითვალისწინებს იმას, რომ მათივე კეთილდღეობის ამაღლება დროის რაციონალურად, შემოქმედებითად გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

დროებითი

უპირატესობა

ჩვენი საზოგადოების მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ახალგაზრდობა დროს სწავლისათვის, შრომისათვის, დასვენებისათვის, ოჯახური ცხოვრებისათვის. ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანი გაფრთხილება, მისი შინაარსიანად გამოყენება ადამიანებს პატარა ობიდანვე, სკოლის მერხიდანვე ჩაუნერგოთ. მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორი ორგანიზებით არა მარტო ვამაღლებთ ადმრდელობითი პროცესის ეფექტიანობას სწავლის პერიოდში, არამედ ამასთან ერთად ეუნიელებენ ოჯახებს ბავშვების ინსაფლებას, რომ უკვე მოზრდილ ასაკში პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პროცესი მაქსიმალურად პროდუქტიული იყოს.

ოჯახსა და სკოლაში მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უმეტოსი თაობის სოციალიზაციის პროცესს, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობას. ამასთან მეტად არსებითია ისიც, რომ სწორად აღვზარდოთ ახალგაზრდობის მხატვრული გემოვნება. ამის გარეშე თავისთავად არაფერს არ ნიშნავს მოსწავლეების მიერ ბიბლიოთეკიდან დიდი რაოდენობით წიგნების გამოტანა და არც სპექტაკლების ნახვა. მთავარია, თუ როგორ აღიქვამენ მოსწავლეები მხატვრულ ნაწარმოებს და შეუძლიათ თუ არა მისი შეფასება.

მოსწავლეთა აღზრდის მთელი ან კომპლექსში ყველაზე ენიშნველოვანი მაინც ის არის, რომ მოვამზადოთ ისინი შრომისათვის, პატარაობიდანვე ჩაენერგოთ შრომითი ჩვევები, შრომის სიყვარული. დასამალი არ არის, რომ მოსწავლეები საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ არცთუ ისე იშვიათად თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბევრი მშობელი, ვინც წლების განმავლობაში ამარეს საყოფაცხოვრებო გამოცდებს უმადლეს სასწავლებელში, მხოლოდ საკალდებულო სტაჟის დაგროვებაზე ზრუნავს. ასეთ შემთხვევაში არც შედეგი იგვიანებს — ახალგაზრდეს უმეშავედებათ ცხოვრებისადმი მომზმარებლური დამოკიდებულება, რაც ოჯახში ბავშვების არასწორი აღზრდით არის გამოწვეული.

სრულიად საკავშირო ალკ XVII ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბავშვის „ზოგიერთი შშობელი დაახლოებით ისე მსჯელობს: მოასწრების კიდევ მუშაობასო. ასე წარმოიშობა სხვისი მიმედობა, შრომისადმი უპატივცემლობა, ბოლოს და ბოლოს კი, ახალგაზრდა ადამიანი მერე ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე ცხოვრებაში ადგილის არჩევისას და არ არის შეგუებული მუშაობას. სამწუხაროდ, ასეთი მოვლენები ზშირად გვხვდება. მხოლოდ ის შშობები აკეთებენ ნამდვილად კეთილ საქმეს, რომლებიც პატარაობიდანვე შრომითს ჩვევებს უნერგავენ ბავშვებს".

ახალგაზრდობის მიერ დროის რაციონალურად გამოყენება უშუალოდ უკავშირდება პროფესიული ორიენტაციის საკითხებს. საქმე ის არის, რომ პროფესიის შეგნებული არჩევა, არჩეული სპეციალობის კარგად დაუფლება თავისთავად ბევრად განსაზღვრავს სამუშაო და თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენებას. მაგრამ ყოველივე ეს საკმაოდ რთული საქმეა.

უაღრესად მობილური თანამედროვე საზოგადოებაში მიდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ღრმად იქრება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, სწრაფად იცვლება მოვლენები და პროცესები, ყოველწელიერად ჩნდება ახალ-ახალი პროფესია, ირღვევა ჩამოყალიბებული პროფესიული ბარიერები, ყოველივე ეს ცხადია, დიდად ართულებს პროფესიის არჩევას. თანამედროვე ახალგაზრდებს პროფესიის არჩევის „შეუდარებლად უფრო მეტი ვარიანტი და შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე მათ შშობლებს ჰქონდათ. საქმიანობის სახეობათა მთელი სამყარო ჩვენს ქვეყანაში 40 ათასამდე პროფესიას ითვლის. ბუნებრივია, ამ დიდ ლაბირინთში ძნელია მომავალი საქმიანობის არჩევანი, ცხოვრების გზის სწორად გაკვლევა.

როგორც ვიცით, ადამიანს დაუკმაყოფილებლობის მწველავე გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე მოჰყვება, თუ მან თავიდანვე სწორად ვერ აირჩია პროფესია. და მაინც არც ისე იშვიათად პროფესიას ახალგაზრდა სრულიად შემთხვევით ირჩევს: ფიქრობს, რომ მხოლოდ ორ-სამ წელს ყოფილა, ან ეუქმნა ამა თუ სხვა ადგილზე, შემდეგ კი გადავა სამუშაოზე, რომელიც მას ანტაგონისტურ. მაგრამ ცხოვრების კონკრეტული პირობები ზშირად ისე ეწყობა, რომ მას, ამ ახალგაზრდას, მრავალი წელი ან მთელი სიცოცხლეც კი მისთვის უინტერესო დარგში უხდება მუშაობა. თუ პიროვნებამ ვერ მონახა შესაფერისი პროფესია და არ არის დასაქმებული იმ სფეროში, სადაც მას როგორც საზოგადოებისათვის, ისე საკუთარი თავისათვის მეტი სიკეთის მოტანა შეეძლია, ასეთი პიროვნება მალე ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, ნაყოფიერად, შინაარსიანად ვერ იყენებს ვერც სამუშაო და ვერც თავისუფალ დროს, ხდება ინდიფერენტული, რამაც შეიძლება საბოლოოდ ლოთობამდე ან სხვა მანკიერებამდე მიიყვანოს.

პროფესიული ორიენტაციის საკითხებს, ახალგაზრდობისათვის „პროფესიული ინსტრუქტაჟს" ჩატარებას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამას ნათლად მოწმობს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. დავიმოწმოთ რამდენიმე ამონაწერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების პასუხიდან კითხვაზე: „რატომ ავირჩიე ჩემი სპეციალობა?"

„ცხოვრების გამეორება რომ შეიძლებოდეს, — აცხადებს ერთ-ერთი სტუდენტი, — დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადავდგამდი. ახლა არა ვარ ჩემი სპეციალობის კმაყოფილი, მაგრამ გვიანდა. დღეისათვის შემძლია ვთქვა: მე შეცდი ჩემს არჩევანში".

სხვა სტუდენტი კი თავის გულისტკივილს ასე გამოხატავს:

„დარწმუნებული ვარ, რომ არ ვიმუშავებ ამ სპეციალობით. რატომ ჩავაბარე ამ სპეციალობაზე?! დღესაც მტანჯავს ეს აზრი".

სტუდენტთა ერთმა ნაწილმა გულწრფელად აღიარა, რომ სპეციალობა მაო სრულიად შემთხვევით აირჩიეს, რასაც ახლა, უკვე მეოთხეკურსელები, მწვავედ განიცდიან. ისინი აცხადებენ: „შეცდი, რომ ჩემს რწმენას არ გავყევი", „ეს პროფესია არც არასოდეს მაინტერესებდა და არც ახლა მაინტერესებს", „ვეღარ გავუძელი შშობლების ირონიებს", „სასწრაფოდ მოწვეულმა ოჯახურმა თათბირმა ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაბარება მომიწია" და სხვ.

პროფესიის მცდარად არჩევას ისინი ერთსულოვნად ოჯახს და სკოლას აბრალებენ. ერთი სტუდენტი სინანულით აღნიშნავს: „პროფესიული ორიენტაციის საკითხებზე არავითარი წარმოდგენა არა მქონდა, რაც ალბათ, შშობლებისა და უფრო მეტად სკოლის ბრალია, რადგან ამ საკითხებზე საუბარი ყოველთვის უნდა იყოს, განსაკუთრებით უფროს კლასებში".

ცხადია, პროფესიის არჩევისას გადამწყვეტი სტატუსი ახალგაზრდებმა თვითონ უნდა თქვან, ოღონდ საამისოდ აუცილებელია, რომ ყოველი ახალგაზრდა სათანადოდ ინფორმირებული იყოს პროფესიული ორიენტაციის, საერთოდ, პროფესიების შესახებ. აქ კი გადამწყვეტი როლი ოჯახსა და სკოლას ეკუთვნის.

ახლა შეეგხოთ იმას, თუ როგორ ანაწილებს ახალგაზრდობა თავისი დროის ბიუჯეტს. ამჟერად, უფრო დაწვრილებით შეეჩერდებით იმაზე, თუ როგორია ახალგაზრდების თავისუფალი დროის ხელდიდ და სტრუქტურა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დროის ბიუჯეტის შესწავლამ ერთი სასწავლო დღის მიხედვით ასეთი სურათი მოგვცა. სასწავლო დრო დღე-ღამეში საშუალოდ 8 საათსა და 10 წუთს შეადგენს. ამ დროიდან რეგლამენტებულ მეცადინეობაზე (ლექცია, სემინარი) 5 საათი და 23 წუთი იხარჯება, ხოლო არარეგლამენტებულზე (სასწავლო საგნების მომზადება, სახელმძღვანელოებისა და მეცნიერული ლიტერატურის კითხვა და სხვა) — 2 საათი და 49 წუთი. სტუდენტთა არასასწავლო დრომ 15 საათი და 50 წუთი შეადგინა, საიდანაც სტუდენტებს ტრანსპორტზე 1 საათი და 39 წუთი ეხარჯებათ, საოჯახო საქმეზე — 58 წუთი, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი — 9 საათი. დღე-ღამის დანარჩენი დრო — 3 საათი და 51 წუთი — მათი თავისუფალი დროა.

ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: სტუდენტები ნამდვილ მცირე დროს უთმობენ სასწავლო საგნების მომზადებას. ანალოგიური გამოკვლევების მონაცემებთან შედარებით ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალია. მაგალითად, რუსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ამ მიზნით ბევრად მეტ დროს ხარჯავენ.

როგორც სათანადო გამოკვლევები გვიჩვენებს, სასწავლო საგნების მომზადებას ასევე მცირე დროს უთმობენ საღამოს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები. ეს ბარემდაა ის იმის მიზეზი ხდება, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური წარმატება დაბალია. მაგალითად, 1979-1980 სასწავლო წელს ამ სასწავლებლებში აკადემიური წარმატება დღის განაყოფილებაზე 86,3 პროცენტს უდრიდა, საღამოს განაყოფილებაზე — 76,5-ს, ხოლო დაუსწრებელ განაყოფილებაზე — 59,3 პროცენტს. შეშფოთებულია ის გარემოებაც, რომ სტუდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ყველა საგანში მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღო, კერძოდ, დღის განაყოფილებაზე — 11,1 პროცენტმა (ანალოგიური საშუალო საკავშირო მაჩვენებელია 5,1 პროცენტი), საღამოზე — 39,3, ხოლო დაუსწრებელ განაყოფილებაზე — 55 პროცენტმა.

ყოველივე ეს მკაფიოდ მოწმობს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ვერ იღებს შესაფერის ცოდნას.

თავისუფალი დროის დიდ ნაწილს სტუდენტები ახმარენ მხატვრული ლიტერატურის კითხვას, ფიზიკურ განვითარებას, მეგობრებთან და ნაცნობებთან ურთიერთობასა და განსაკუთრებით ტელევიზიერ-ცემასა ნახვას.

სტუდენტთა თავისუფალი დროის სიდიდესა და მისი გამოყენების შინაარსზე გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის თრგანიზაციის სპეციფიკა, სოციალურ-დემოგრაფიული შემადგენლობა, მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები.

მაგალითად, სტუდენტი გოგონები ოჯახში მუშაობაზე ორ საათს ხარჯავენ, ხოლო ვაჟები — 20 წუთს. ძირითადად ამით არის გამოწვეული, რომ სტუდენტ გოგონებს თავიანთ კოლეგა ვაჟებთან შედარებით 45 წუთით ნაკლები თავისუფალი დრო რჩებათ. საყოფაცხოვრებო პირობების უპირატესობათა გამო თავისუფალი დრო მეტი აქვთ თბილისელ სტუდენტებს, ვიდრე რაიონიდან ჩამოსულთ.

სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურე ახალგაზრდების დროის ბიუჯეტის გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა თავისუფალ დროს უსაქმურად, უმიზნოდ ატარებს, ნაკლებად ზრუნავს თავისი გონებრივი პორიზონტის გაფართოების, კულტურული დონის ამაღლების, ფიზიკური წრთობისათვის. როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახალგაზრდებმა ისწავლონ თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება.

უსაქმურობა, ქეიფი, მოწყენილი „მხიარულება", „დროის მოკვლის" მიზნით, — ახალგაზრდობის წლების ეს დანაკარგები, მე ვიტყოდი, შემდგომში ძნელი ასანაზღაურებელია".

როგორი იქნება ერის მომავალი — ამას გვიჩვენებს ახალგაზრდობის მიერ დროში შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. ამ სიმდიდრის შექმნის სახვალიოდ გადადების უფლება კი არავის არა აქვს. „უყვნა ზარალის ანაზღაურება შეიძლება, გარდა ახალგაზრდობისა დაკარგული დროისა," — აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძე ახალგაზრდობასთან საუბარში.

დროის მიზანშეწონილი გამოყენება ეროვნული სიმდიდრის წყაროა და, ბუნებრივია, იგი მთელი ერის, მთელი ჩვენი საზოგადოების ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ამიტომ ახალგაზრდობა დროს ყოველნაირად უნდა უფრთხილდებოდეს, უდიდესი ყურადღებით უნდა ხარჯოს თავისი ერის, თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გამოჩენილი ქართველი მწერალის ლ. გოთუას მოხდენილი თქმით, ახალგაზრდობა, ბოლოს და ბოლოს, დროებითი უპირატესობაა და მისი არაბად გაშვება ეროვნული ენერგიის სამაგალ გაფლანგვას უდრის.

საზოგადოებრივი

სიმდიდრის

საზომი

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, რიგა სულ უფრო სწრაფად იზრდება მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას. თავისუფალი დრო როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, საჭიროა „ადამიანის განათლებისათვის, ინტელექტუალური განვითარებისათვის, სოციალური ფუნქციების შესრულებისათვის, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობისათვის, ფიზიკური და ინტელექტუალური სასიცოცხლო ძალების ლაღი თამაშისათვის." ამასთან მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი ითვალისწინებდა იმას, საზოგადოების თითოეულ წევრს, მთელ საზოგადოებას საკმაო თავისუფალი დრო შეძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ძალების მძლავრი განვითარებისა და შრომის საყოველთაო ხასიათის პირობებში. მაშინ, აღნიშნავდა კ. მარქსი, სიმდიდრის საზომი იქნება უკვე არა სამუშაო დრო, არამედ თავისუფალი დრო.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა წარმოების სწრაფი ზრდა გაფლანს ახდენს შშრომელთა თავისუფალ დროზე, მის სტრუქტურასა და გამოყენების ხასიათზე. რაც უფრო სრულად კმაყოფილდება ხალხის მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი, მით უფრო სრულყოფილია თავისუფალი დროის სტრუქტურა, მისი გამოყენების შინაარსი.

ცნობილია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შშრომელები თავისუფალ დროს თავიანთი შეხვედრებებისაგან იყენებენ. საერთოდ ადამიანთა სულმოსანობა თავისუფალ დროში განსხვავებულია. თავისუფალი დრო ფართო სფეროა ადამიანთა მრავალმხრივი მოქმედებისათვის და იგი რაიმე ჩარჩოებში ვერ მოთავსდება. ოღონდ აუცილებელია გვახსოვდეს, რომ თავისუფალ დროში ადამიანის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ნიჭის და უნარის ყოველმხრივ გამოვლინებასა და განვითარებას. ამიტომ სოციალისტური საზოგადოება დღეისიდან ზრუნავს თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების პირობების გასაუმჯობესებლად, რადგან „თავისუფალი დრო შეიძლება მივიჩნიოთ ნეშმარიტ საზოგადოებრივ დოვლათად, როგორც მას ვიყენებთ ადამიანს, მისი ნიჭის ყოველმხრივი განვითარებისათვის და ამით — მთელი საზოგადოების მატერიალური და სულიერი პოტენციალის უფრო მეტად გამოვლენისათვის" (ლ. ი. ბრეჟნევი).

აქვე დავძენთ, რომ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალ დროს ყველგან და ყოველთვის როდი იყენებენ სწორად. თავისუფალ დროს ზოგჯერ პიროვნება არა მარტო სხვების, არამედ საკუთარი თავის საზიანოდაც კი ხარჯავს. ეს უკვე ალარ არის მარტო მისი პირადი საქმე. როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი „თავისუფალი დროა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი დრო როდია."

როგორც ვიცით, სულ ახლო წარსულში მოდად იყო ქცეული ხალხმრავალი ქორწილები, დღეობები, ქელეხები, სხვადასხვა პომპეზური წვეულებანი. ერთგვარი შეჯიბრი იმართებოდა, თუ ვინ მეტ სტუმარს დაპატიჟებდა. კულტურული დასვენებისათვის განკუთვნილი თავისუფალი დრო და ზშირად სამუშაო დროც ფუჭად იფლანგებოდა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ადამიანთა მოთხოვნილებანი მეოხებადად მთელი მათი უდიდესი სხვადასხვაობისა, მეტწილად სწორად თავისუფალ დროში ხორციელდება და, ამდენად, თავისუფალი დროის ფაქტორი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს პიროვნების ყოველმხრივსა და ჰარმონიულ განვითარებაში. ახალი ადამიანის აღზრდა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეჯამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა, უშეალოდ უკავშირდება

მზე, ვაზი და გამოთვლილი ელექტრონული მანქანა

მიმდინარეობს ექსპერიმენტი

განძანა ზედიზედ იგებდა. საუკეთესო კარიანტებს უფრო სწრაფად და, რაც მთავარია, შეუცდომლად პოულობდა. ეხიე ლი, ზოგჯერ მოგეჩვენებოდა, რომ მისი წინააღმდეგნი ზედმეტად თამამნი, მოუფიქრებელნი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რეკბელი, რომ იგი მართალი იყო. თავდაპრ.

ელვარე მზე თვალსა ჭრიდა წყლის ტალღებში ათინათთი, ალაზანი გულს ატკბობდა ნეტარებით...

სხვადასხვა საუკუნეთა პოეტები გეოდსტურებენ: მზეს უყვარს საქართველოს ეს კუთხე. იგი ყოველდღე შემოიხედავს აქ, რადგან აიელვარის დიდი კაკაასიონის ქედთა მწვერვალები, ტყეები და ყორმები, რომლებიც გარს ეტყმია ალაზნის ველს, და სპილენძისფერი ვენახები, კიდით კიდემდე რომ გადაჰიმესა, აქ ერთმანეთს მიჯრით მიწყობილი სახლების ეიწრო ზოლი. ზოგჯერ ვერც კი მიხვდები, სად მთავრდება ერთი სოფელი და სად იწყება მეორე — ალაზნის ველის მიწა, მართლაც რომ, ძალზე ძვირფასია და ხალხი უფრთხილდება ყოველ მის გოჯს, თავისი სახლის შენებას „მეზობლის კედლიდან“ იწყებს.

სოფლების სახელწოდებანი ერთანეთ ნაცნობია, გეგონება ბეჭედურ ყოფილხარ აქ, — გურკანი, მუკუზანი, ნაფარეული, წინანდალი... ალაზნის ველზე იბადება გამთქმული ქართული ღვინონი და თან სდევს ამ მიწის სითბო.

ამბობენ, აქ ზამთარი არ იცისო, მაგრამ მე კახეთი ქარბქუნი დამხვდა. დიდმა კაკასიონმა რამდენიმე საათით გადმოუშვა ტყვეოსფერი ღრუბლები ალაზნის ველზე და მათ ზვრებსა და სახლავებს ერთი წლის საკმარისი თოვლი გადმოაფრქვეს. ასეთი უამინდობის ქამს კარგია ეცხლთან ჯდომა, მეგობრების წრეში გასული რთველის მოგონება და ყმეილი სიტყვით მოხსენიება ზაფხულისა, რომელიც ესოდენ უხვად ჩუქნის აქაურობას თბილ, მზიან დღეებს, ასე რომ უყვარს ვაზს. მაგრამ სახლებში ბუხრები არ ენთო, მასპინძლები სტუმრების სადღეგრძელოებს არ სვამდნენ. არამედ თბილად იცავდნენ და ვენახებისკენ მიეშურებოდნენ: ერთი დავხედოთ, ვაზი როგორ არისო! იქნებ დილის სუსხმა დაკრას და მიწა უნდა გაათბონ. ყინვაში და პაპანაქებაში, დღისით და ღამით მოითხოვს მზრუნველობას ვაზი — ერთ-ერთი ყველაზე ჭირვეული და ფაქიზი მცენარე უადამიანოდ ვერ ძლებს ვაზი, წელიწადში რამდენმე ასეულჯერ — ყოველდღე ველად მანქანის ეხოდენ სრულყოფილი „თამაში“ აცდუნებდა პარტნიორს. „ჩვენ გვჯირდება მაგისი რჩევა“, — ირწმუნებოდა პარტიის რაიკომის მდივანი ა. კობაძე. ზოგს გაედიმი: მეტისმეტად უჩვეულო იყო ეს საქმე მათთვის, კოლმეურნეობების ბრიგადირებისა და თავმჯდომარეებისათვის. მაგრამ მანქანით ასეთ ვარჯიშს დაბეჭითებით მოითხოვდნენ ექსპერიმენტის ხელმძღვანელებიც და პარტიის რაიონული კომიტეტიც. გაზაფხული აღლოდდნენ მოსავლის ადამიანები,— ალბა, რომელი მანქანა გაუწევს მეტოქეობას ასეთ გამოცდილებას? თითქოს აშკარაა: რაც უფრო მეტი ხალხი მოვა ზვარში, მით უფრო მალე დაკრიფავენ მტევნებს და, მაშასადამე, ღვინის ქარხანაშიც დროულად მიიტანენ ყურძენს...

— საათობით ვზომავდით რთველის დროს, — გვეუბნება პარტიის თელავის რაიკომის მდივანი ა. კობაძე, — და, ცხადია, ვზრუნავდით, — რომ რაც შეიძლება მეტი მუშახელი და ავტომობილები მიგვყოლ. რთველის დროს თბილისიც კი გვეხმარებოდა. ჩვენც გვეგონა, რომ სხვა გვარად ვერ მოხერხდებოდა. პირველი დასკვნა, რომელიც ექსპერიმენტის მომწყობმა მეცნიერებმა გამოიტანეს, ფრიად უჩვეულო გვეგონა, ისინი ამტკიცებდნენ, რაიონნი საკუთარი ძალებით გაართვეს თავს საქმეს.

რთველი ხომ ზეიმია, მას გაზაფხულდანვე ელოდებიან. გვიხარია, როცა ვაზი ყვავოდა — ამ დროს იგი მაინდამაინც არ უნდა შეაწყინოს: სიმშვიდე უყვარს ყვავილობისას. მოხუცები ამბობენ, ვაზით ახლოს ამ დროს ხმამაღლა ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო. „მერე სხვადასხვა ავადმყოფობისაგან ვიცავდით ვაზს, ვებრძოდით მავნებლებს, რომლებიც უამრავნი, ელოლიავებოდით, ვეალერსებოდით, როგორც ბავშვს. საქართველოში ტუიელად კი არ ამბობენ, მევინაზის ოჯახში ერთი შვილით მეტია — ვაზია.

— რთველი 18 დღეს გრძელდება, — გვეუბნება ა. კობაძე, — წინათ კი ზოგჯერ თვენახევარს გასტანდა ხოლმე. სისტემამ დიდი ეფექტურობა გამოავლინა: გაიზარდა მკრეფავების შრომის ნაყოფიერება, უფრო რაციონალურად ვიყენებენით ავტოტრანსპორტს. შემცირდა სამარკო ღვინოების თვითღირებულება და გაიზარდა მათი წარმოება. ხუთი მილიონი მანეთი — დაახლოებით ამე აფასებენ მეცნიერები ეკონომიკურ ეფექტს. მაგრამ მე მინდა ექსპერიმენტის სოციალურ შედეგებზე მოგახსენოთ. მართვის ავტომატურმა სისტემამ მნიშვნელოვნად გაუძლო ერ პასუხისმგებლობა ყველას — მმართველობის მუშაკებით დაწყებული და მკრეფავებით დამთავრებული. განმტკიცდა დისციპლინა, უფრო მწყობრად არის ორგანიზებული შრომა. წინათ ხშირად ყოფილა: მეევნახე უხვ მოსავალს მოიწევდა, დაკრეფავდა, შემდეგ კი ხედავდა, რომ მისი შრომის ნაყოფი იღუპება, რადგან ღვინის ქარხნის ჭიშკართან რიგში იდგა მანქანები. ვენახშიც რეგულარულად არ მოდიან, ჰოდა, ვაზს შეაჭკნება მტევნები... სოციალისტური შეჯიბრების მიდგინარეობა, რომლის შეჯამება ყოველდღიურად ხდებოდა გამომთვლელ ელექტრონული მანქანის დახმარებით, რთველის დროს ნათელი იყო თითოეული ბრიგადისათვის, თითოეული კოლმეურნეობისა და სახკოთა მეურნეობისათვის...

და, რა თქმა უნდა, ქარხანაში მიღებული ყურძნის ხარისხი გაუჭობესდა. ამაღლდა ღვინომასალის ხარისხიც, ასე რომ, გთნქმელი „ჯაბური“ ღვინოები კიდევ უფრო უკეთესი იქნება. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ მართვის ავტომატურ სისტემა „რთველს“, — დაასკვნის მეჭიანი, — უღმინოდ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი მუშაობა, მაგრამ ისიც მშვენივრად გვესმის, რომ ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, თუ უფრო ფართოდ გამოვიყენებთ ამ სისტემის შესაძლებლობებს.

„საქმითა თამაში“ — მაგრამ ეს მომაჯადო რთველი ... დღეის ეტაპია. ზამთარში, მაგრამ თელავში უკვე სისტემებზე ფიქრობენ, მათთვის [illegible] ნიუკუბა: უნდა გაანალიზდეს გასული სეზონის წარმატებები და ნაკლოვანებანი, გაფართოვდეს გამომთვლელი ელექტრონული მანქანისა და საკუთარ მეურნეობათა შესაძლებლობანი.

ალაზნის ველზე გრძელდება ძიება. მაგრამ მისი შედეგები ყველებით მნიშვნელოვანია, ისინი გასცდა კახეთის ფარგლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა თელავის რაიონის ექსპერიმენტები და იგი საეტაპო ნაბიჯად მიიჩნია სოფლის მეურნეობის მართვის ავტომატიზაციის გზაზე. სასიხარულოა, რომ ეს ექსპერიმენტი მოეწყო სწორედ მევნახეობაში, საქართველოსთვის ტრადიციულ დარგში.

გ. ლონგინაძის პოემა „კახურ გასთიადებში“ არის ასეთი სტროფონები:

მიწა-ტარის დილის ნამზე
საუკეთესელთან, სიხარულთან,
და კახეთი დგება სავსე
პურით, ღვინით, ჭარნახულით.

კახეთი ამ კუთხისათვის იშვიათი ქარბქუნით დაგვხვედა, მაგრამ მოწმენდილი ცით გამოგვაცილა. სუსხმა უკან დაიხია, ალაზნის ველზე ისევ დათბა. და უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ვენახების მწყობრი მწკრივები. სხვა თვალით შეეხედე ამ ველის მთავარ სიმდიდრეს — ვაზს. ჯერ კიდევ გუშინ ასე მეჩვენებოდა, რომ ადამიანმა უკვე ყველაფერი გამოსწურა მას და ძველებურად გულუხვი ველორ იქნება ეს ნერგი, მაგრამ ალაზნის ველზე მოსულმა მეცნიერებამ სხვა რამ დაამტკიცა.

ვ. ბუბარიოვი,
(„პრავდის“ ხეც. კორ).
ქ. თელავი.

„პრავდა“, 1982 წ. 9/II.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. **გ. დ. მგელაძე** გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. **რ. ა. ღვინჭილია.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ი. პატაიშვილმა.** (საქინფორმი).

იზრდება მოყვარულ მეგაღლეთა რიგები

ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება მებაღეობის ამხანაგობები. ამჟამად ისინი აერთიანებენ 30 ათას კაცს, რომელთა განკარგულებაშია 8,7 ათასი ჰექტარი მიწა. აქედან თბილისის მცხოვრებთა წილად მოდის 5,7 ათასი ჰექტარი, ქუთაისელთა წილად — 107, რუსთაველთა — 400, გორელთა წილად — 50 ჰექტარი მიწა.

ეს და სხვა ციფრები მოიყვანეს მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის რესპუბლიკური საორგანიზაციო საბჭოს თბილისში გამართულ სხდომაზე. აღინიშნა, რომ კოლექტიური მებაღეობის განვითარება სასურსათო პროდუქტების წარმოების გაზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია. პრაქტიკამ ცხადყო, რომ კოოპერატივის თითოეულ წევრს მისთვის გამოყოფილ 600 კვადრატულ მეტრ ნაკვეთზე შეუძლია მიიღოს 500 კილოგრამზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ამასთან, აღინიშნა თავის მოხსენებაში საბჭოს თავმჯდომარემ ზ. აბაზაძემ, ამ საქმეში არის ნაკლოვანებანიც. მაგალითად, ზოგიერთ რაიონულ აღმასკომს, სოფლისა და ტყის მეურნეობის სამინისტროებს ჯერ კიდევ არ გამოუყვიათ მებაღეობის კოოპერატივებისათვის საჭირო მიწის ფართობი, ხოლო გამოყოფილი მიწების ნაწილი ძნელად მისაღწევ ადგილებში მდებარეობს.

ამ მიზეზით დაკმაყოფილებულია თბილისის იმ მუშა-მოსამსახურეთა მხოლოდ მესამედის მოთხოვნილება, რომელთაც სურთ ბაღრთიანდნენ მებაღეობის მეურნეობებში. უნაკვეთებოდ დარჩენენ ისეთი დიდი ორგანიზაციები, როგორიც არის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, თბილისგვირაბმშენი, თბილისის მტერობოლოტები და სხვები.

საყოველთაო საბჭოს უნდა ჰქონდეს საკუთარი სანერგე მეურნეობა, რომელიც ნერგებსა და თესლებს მიაწვდის მებაღეობის „კოოპერატივების წევრებს. ისევ, თუ რაოდენ პერსპექტიულია მებაღეობა მეურნეობები, შეტყველებს შემდეგი ციფრები. 1981 წელს მათ აწარმოეს დაახლოებით 4 ათასი ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, კერძოდ, 57 ტონა ხორცი, 97 ათასი ცალი კვერცხი, 2.350 კილოგრამი თაფლი. მებაღეობის სწორი ორგანიზაციის მაგალითს გვიჩვენებს ერესთავის მეტალურგიული ქარხნის გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარის მახლობლად მდებარე კოოპერატივი.

თბილისის მონაწილეებმა დასახეს კოოპერატიული მებაღეობის შემდგომი განვითარების, მაგრამ ახალი წევრების ჩაბმის ღონისძიებანი.

თბილისის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვარძელაშვილმა.

(საქინფორმი).

**ს ა ქ ა ო ბ ი ს ა ს ა ა ბ ა ზ ი ს ა ს ა ბ ა ზ ი ს ა ს ა ბ ა ზ ი ს ა ს

მეცნიერი, მოღვაწე



პროფესორ გ. ყორდანიას დაბადების 70-ე წლისთავის გამო

არაფერია ისეთი საპატიო მეცნიერისათვის, როგორც აღიარება სიცოცხლეშივე. განსაკუთრებით ეს ითქმის ისტორიკოსზე, რომელიც საფუძველიანად არის დაფიქრებული თავის დარგში მსოფლიო მიღწევებს, რომელთა მიხედვით ცდილობს საკუთარი ერის წარსულის გაანალიზებას.

ასეთ სახელოვან სწავლულთ განეკუთვნება სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ყორდანია.

ბავშვობადანვე გ. ყორდანიას გონებრივ ინტერესებზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ოჯახურმა წრემ და ტრადიციებმა. პაპა — თედო ყორდანია გამოჩენილი მეცნიერი, ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკოსი იყო, მამა — გიორგი ცნობილი იურისტი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე. ბიძა იოსები — მედიცინის ერთ-ერთი მესვეურთაგანი...

თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1930 წელს გ. ყორდანია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. გ. ყორდანიამ პირველი მეცნიერული წვრთობა გიაღირა გამოჩენილი ისტორიკოსების ე. კოსმინსკის, ს. სკაზკინის, ა. ნეუსიხინის და სხვათა ხელმძღვანელობით. 1937 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ამის შემდეგ გ. ყორდანია საქართველოშია. კითხულობს მსოფლიო ისტორიის კურსს თბილისის, ქუთაისის, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ასწავლის ამერიკანისტიკასა და ბიზანტოლოგიას ლენინგრადის პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელში. მაგრამ ყველაზე მეტი ამაგი მან თავის დარგში მიანიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დასდო. აქ წლების მანძილზე უბეჭდავს ახალი და შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ყორდანია.

გ. ყორდანიამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა XVI საუკუნის პოლოსა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიის კვლევაში. ამ კვლევის შედეგები ასახავ გ. ყორდანიას ორტომიან კამეტლურ გამოკვლევაში, რომლის საფუძველზეც მას 1960 წელს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ამ ნაშრომმა როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი სპეციალისტების ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. ეს სათანადოდ გამოჩნდა, კერძოდ, გ. ყორდანიას საყარო გამოსვლის დროს პარიზში, 1966 წ. საბჭოთა და ფრანგი ისტორიკოსების II ერთობლივ კოლოკვიუმზე.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გ. ყორდანიამ შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიის დამუშავებაშიც. იგი ავტორია გერმანულად „გამოქვეყნებული ნაშრომისა, სადაც გარკვეულია თამარ მეფის ქორწინების საკითხთან დაკავშირებული მეტად სინტერესო ეპიზოდი. მან დიდი ამაგი დასდო მსოფლიო ისტორიის რედაქციის შექმნას ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში.

გ. ყორდანიას შემოქმედების მეორე პრობლემა ქართული კულტურის ისტორია, მისი ინიციატივით გამოიცა თედო ყორდანიას გამოქმეული წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი „ქრონიკების“ III ტომი, რომლის პირველი ნაკვეთებიც გასული საუკუნის მიწურულში გამოქვეყნდა.

გ. ყორდანიას ბოლო ხნის ნაშრომთა შორის აღსანიშნავია მისი ვრცელი პუბლიკაციური ნარკვევი „დასრულებული საუბარ“, სადაც მოთხრობილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და „მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლზე საქართველოდან საფრანგეთში მეზშეკვეთა მიერ გატანილი ძველი ქართული კულტურის გამეფეულის დაცვის საქმეში 1921-1945 წლებში.

შესანიშნავი ლექტორი და გულისხმიერი აღმზრდელია გ. ყორდანია. შემთხვევითი როდია, რომ მის ლეკციებსა და საჯარო გამოსვლებზე მუდამ ხალხმრავლობაა. იგი იმ მეცნიერთა შეგავსად იღვწის, რომლებმაც იმთავითვე ღრმა ავტორიტეტი შეუქმნეს ჩვენს უნივერსიტეტში ისტორიისა და სხვა ჰუმანიტარული დარგების შესწავლას.

თავისი დაბადების 70-ე წლისთავზე პროფესორი გ. ყორდანია კვლავ გატაცებით ემსახურება საყვარელ დარგს — ისტორიის მეცნიერებას. და ჩვენ გვჯერა, რომ იგი მომავალში ჩვეულებრივ ენერგიით წარმართავს თავის შემოქმედებითს მოღვაწეობას ქართული და მსოფლიო კულტურების ურთიერთობის შესწავლის კეთილშობილური მიზნით.

ა. ბარგულაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;

შ. ბადრიძე,
კ. ლილუაშვილი,
პროფესორები.

საშეფო კონცერტი

ლენინგორი, (ხაკ. კორ.). კომკავშირის ლენინგორის რაიკომმა საშეფო კონცერტების გამართვის მიზნით ქუთაისიდან ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ექსპრესი“ მოიწვია, რომელიც ძირითადად ხელოვნების მოყვარული კომკავშირელებისაგან არის დაკომპლექტებული.

სტუმრებმა დაბის კულტურის სახლში სასინტერესო კონცერტი გამართეს. შესრულდა სიმღერა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების სიმღერები.

მე შევალ ამ სამყაროში...

დათო კრაწაშვილის ნამუშევართა გამოფენა მოსკოვში

დღეს საქართველოში ბევრმა იცის ამ სიცოცხლის მოტრფიალე ნორჩი მხატვრის სახელი. და არა მარტო იმიტომ, რომ ასე ტრაგიკული გამოდგა მისი ბედი — ჯერ 17 წლისაც არ იყო, როცა შენყდა მისი გულის ძგერა, მაგრამ სამუდამოდ დატოვა კვალი ქართულ სახვითს ხელოვნებაში. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა გამოფენამ, რომელიც გიახსნა მოსკოვის „კინოფიატ „თბილისში“.

გამოფენის გახსნისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგემ რ. ანდრონიკაშვილმა აღნიშნა, რომ დ. კრაწაშვილის ნიჭი ბრწყინვალედ და მრავალმხრივ გამოვლინდა. სურათებითა და ლეკსებით მან გადმოგვიშალა თავისი უკიდეგანო შინაგანი სამყარო, დაგვანახვა მეტად ღრმა, სერიოზული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ი. თოიძემ, მოსკოველმა მოქანდაკემ გ. ქვეხიშვილმა, თბილისელმა ხელოვნებათმცოდნემ ვ. შავგულიძემ, მოსკოვის რკინიგზის რაიონის 63-ე სპეციალური სკოლის დირექტორმა მოადგილემ ლ. ენუქიძემ, ამ სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც უკვე მრავალი წელია მეგობრობენ თეიზოლელ თანაგულებთან, ილაპარაკეს დათო კრაწაშვილზე, როგორც დიდი ნიჭით მომადლებულ ადამიანზე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თავისი ხანმოკლი სიცოცხლის მანძილზე.

ექსპოზიციის გახსნას დაესწრნენ დათო კრაწაშვილის მშობლები. გამოფენის უამრავი დამთვალიერებელი დიდხანს ჩერდებოდა დ. კრაწაშვილის ტილოებთან „სიცოცხლის წრე“, „ფიქრები არსებობაზე“, „ავტოპორტრეტი“, „გალაკტიონი“, „სიყვარული“ და სხვ. შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი აღფრთოვანებული ჩანაწერი გაჩნდა.

მხატვრის 250-ზე მეტი ნამუშევარი მოსკოვში თვის მანძილზე იქნება გამოფენილი. (საქინფორმი).

გამოფენის დამთვალიერებლებს შეხვდნენ ნორჩი მხატვრის მშობლები გიორგი და ნელი კრაწაშვილები.

საქაქინფორმის ტელეფოტო.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

გეპატიჟებათ სპორტის სასახლე

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა ტრადიციული XIII საერთაშორისო ტურნირი იწყება. შეჯიბრების პირველ დღეს ორთაბრძოლები გაიმართება მძიმე და 95 კგ-მდე წონის კატეგორიაში. ყოველდღიურად წინასწარი შეხვედრები იწყება 11 საათზე, ხოლო ფინალური ორთაბრძოლები — 18 საათზე. სპორტის სასახლის ტატამზე ამჟერად 16 ქვეყნის 279 ძიუდოისტი იბრძოლებს წარმატებისათვის. იაპონიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და საფრანგეთის გუნდებში 10-10 სპორტსმენი წარმოდგენილი, კუბის და ბულგარეთის კოლექტივებში — 9-9, მონღოლეთის და იტალიის გუნდებში — 8-8, ფინეთისაში — 5, სსრ კავშირის ნაკრებ კოლექტივებში — 130. საქართველოდან 24 ძიუდოისტი იასპარეზებს. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბიძინა მაზნიაშვილმა** განაცხადა, რომ რესპუბლიკის ძიუდოისტები ბეჯითად ემზადებოდნენ ამ შეჯიბრებისათვის და ძალას არ დაზოგავენ წარმატებისათვის.

ბუენოს სასტემრო „აჟარაში“ გაიმართა პრესკონფერენცია. აღინიშნა, რომ თბილისის ეს ტრადიციული ტურნირი ერთობ მნიშვნელოვანია და გამოითქვა აზრი, რომ იგი როგორც წინა წლებში, ახლაც ორგანიზებულად ჩატარდება, ვიხილავთ ფიცხელ ორთაბრძოლებს.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

მარ-დელ-პლატის საერთაშორისო

არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს. შეჯიბრებაზე თამაშდება გაზეთ „ალარინის“ პრიზი. პირველ ტურში მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი შეხვდა ი. სეირავანს (აშშ). ეს პარტია გადაიდო 44-ე სვლაზე. ლ. პოლუგაევსკიმ შაგიდით დაამარცხა არგენტინელი ო. პანო, უნგრელმა ლ. პორტიშმა ასევე არგენტინელი მ. კინტერასი. უ. ანდერსონ (შვეიცია)-მ. ნაიდორფის (არგენტინა) და ს. ჯირარდელი-ფ. ზარაგას (არგენტინა) პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენ პარტიები გადაიდო. მეორე ტურში დაზავდნენ კარპოვი-პოლუგაევსკი, ნაიდორფი-პორტიში, ბრაგა-პალერმო, ანდერსონ-ტიმანი. სეირავანმა მოუგო ჯირარდელს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

კვლავ ზურაბ სტურუა

ოდესაში გრძელდება საბჭოთა კავშირის პირველობა ჭადრაკში ახალგაზრდა ოსტატთა შორის. 10 ტურის შემდეგ თბილისელ ზურაბ სტურუას 7 ქულა აქვს და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს.

კასპაროვის აზრით

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, დიდოსტატმა გ. კასპაროვმა უპასუხა ვეფის გაზეთ „ურორის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე. ჭადრაკის ისტორიაში უძლიერეს დიდოსტატებად კასპაროვმა მიიჩნია ფ

ერი, კარპოვი, ბოტვინიკი და ალეხინი. კასპაროვმა თქვა, რომ იმედი აქვს მომდევნო, 1984 წლის ცოცხალ პრეტენდენტი გახდეს და მატჩში შეხვედეს მსოფლიოს ჩემპიონს კარპოვს. თავის შესაძლებელ მატოქეებს შორის ბაქოელმა მოჭადრაკემ პირველი ადგილი დაუთმო ჰოლანდიელ ტიმანს, რომლის თამაშსაც მაღალი შეფასება მიაცა. მან ქეფით მოიხსენია აგრეთვე ინგლისელი დიდოსტატი ბეალი და ნანი. ნანზე კასპაროვმა თქვა, რომ მას დიდი წარმატებები ელნეს, თუ კი თველ თავის დროს ჭადრაკს დაუთმობს.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო სტალინ ყველა დაწესებულებს, ორგანიზაციასა და პირო, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის დიდი მწუხარება საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის, პროფესორ ნიკოლოზ კონსტანტინეს ნინ ლაჩუბიანის გარდაცვალების გამო.

ნ. ა. ლაფუტიანის ოჯახი.

რედაქტორი
გ. ბედნენეიშვილი.

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის № 31 რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდების მიღებას 1982 წლის 15 თებერვლიდან ქართულ და რუსულ სექტორებზე შემდეგ პროფესიებზე:

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ვაჟებისათვის — ელექტრული და თბომავლების მემანქანე, მატარებლის შემდგენელი და სადგურის მორიგე.

წვევამდელი ახალგაზრდებისათვის — ელექტრული და თბომავლის მემანქანის თანაშემწე, ელექტრული შემკეთებელი ზეინკალი, ვაგონის გამსინჯველი და სადგურის მორიგე.

ქალებისათვის — ტვირთის მიმღებ-ჩამბარებელი და ვაგონის გამცილებელი.

სწავლის ხანგრძლივობა 1-დან 2 წლამდეა.

სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 30-დან 37 მანეთამდე, ხოლო ზოგიერთ სპეციალობაზე სტიპენდია 80 მანეთამდე იქნება, სწავლის ფრიადოსნებს სტიპენდია გაეზიდებოდათ 25 პროცენტით. სწავლის დრო ჩაითვლება საერთო სამუშაო სტაჟად. კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომი და სამუშაოდ გაიგზავნებიან რკინიგზის ობიექტებზე, სადაც დაენიშნებათ ხელფასი 300-დან 400 მანეთამდე. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეებს სტიპენდიის დამატებით მიეცემათ გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი, საშეალოდ 100-150 მანეთამდე ოდენობით. კურსდამთავრებულები, რომლებიც სპეციალობის მიხედვით დაიწყებენ მუშაობას, მუდმივად ჩაეწერებიან თბილისში, მიეცემათ საერთო საცხოვრებელი და სამოსამსახურო ბინები, აგრეთვე ყოველ წელიწადს გაუდიდდებათ ხელფასი წლების ნამსახურობის მიხედვით. მათზე გავრცელდება ყველა შეღავათი, რომლებიც დაწესებულია რკინიგზის მუშაკთათვის.

კურსდამთავრებულები, რომლებიც მიიღებენ წარჩინების დიპლომს (გამომუშავნის 10 პროცენტამდე), უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნებისათვის. დოუსწრებელი სწავლის მსურველები (ლომბიტიდ გაიგზავნებიან საშუალოს მოუწყვეტელ რკინიგზის როსტოვის ინსტიტუტში და სტიპენდიას დაუნიშნავს წარმოებას!

სწავლის პერიოდში წვევამდელ ახალგაზრდებს მიეცემათ სავალდებლო სამხედრო სამსახურიდან გადავადება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 45 წლამდე ასაკის, არასრული განათლების მქონე ქალები, რომლებიც 6 თვეში შეისწავლიან ვაგონის გამცილებლის პროფესიას. მათთვის სწავლა მოეწყობა საღამოს საათებში სამუშაოს მოუწყვეტლივ.

სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი; დაბადების მოწმობა; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ცალი ფოტოსურათი (3X4), სამხედრო ბილეთი.

საბუთების მიღება დაიწყო.

სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.

დაწარილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ სასწავლებელში შემდეგი მისამართით: თბილისი, ოქტომბრის ქ. № 134. ტელეფონი: 66-32-53, რკინიგზის 61-40.

ქ. რუსთავის № 104 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982-83 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქიმიური მრეწველობის მეკაბარატეები (ლაბორატორიული სამეშოს შესრულებით);
2. ტექნოლოგიური დანადგარების შემკეთებელი ზეინკლები;
3. ელექტროაირშემდეგლები.

სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 30 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები. სასწავლებელში სწავლის დრო ჩაითვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟად.

სწავლების ვადა 1 წელია.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეებში უწყვეტელ ფიზიკოლი იქნებიან სტიპენდიით 72 მანეთის ოდენობით და უფასო საერთო საცხოვრებლით. პრაქტიკის დროს მიიღებენ ანგარიშვალების 50 პროცენტს.

სასწავლების ფრიადოსანი მოსწავლეები მიიღებენ 25 პროცენტით გადიდებულ სტიპენდიას და უფლება ეძლევათ ჩაბარონ მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლის დღის დასრულებულზე.

მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ სასწავლებელს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნის უფლებებით.

სასწავლის პერიოდში ვაჟებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნის გადავადება. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს გარანტირებული ეძლევათ სამუშაო ადგილები საბაზო ორგანიზაციაში — „ქარხანა „ელექტროატომაში“.

სასწავლის პერიოდში ვაჟებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება.

სასწავლებელში ჩაირიცხებიან მხოლოდ საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები. სასწავლებელში სწავლის ხანგრძლივობა 1-ელ 2 წელია. ფიზიკოლ-ტექნიკურ სპეციალობაზე სტიპენდია 80 მანეთამდე იქნება, სწავლის ფრიადოსნებს სტიპენდია გაეზიდებოდათ 25 პროცენტით. სწავლის დრო ჩაითვლება საერთო სამუშაო სტაჟად. კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომი და სამუშაოდ გაიგზავნებიან რკინიგზის ობიექტებზე, სადაც დაენიშნებათ ხელფასი 300-დან 400 მანეთამდე. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეებს სტიპენდიის დამატებით მიეცემათ გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი, საშეალოდ 100-150 მანეთამდე ოდენობით. კურსდამთავრებულები, რომლებიც სპეციალობის მიხედვით დაიწყებენ მუშაობას, მუდმივად ჩაეწერებიან თბილისში, მიეცემათ საერთო საცხოვრებელი და სამოსამსახურო ბინები, აგრეთვე ყოველ წელიწადს გაუდიდებათ ხელფასი წლების ნამსახურობის მიხედვით. მათზე გავრცელდება ყველა შეღავათი, რომლებიც დაწესებულია რკინიგზის მუშაკთათვის.

თბილისის № 49 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982 წლის I კვარტალში ელექტროკავშირისა და ხელსაწყოთების ამოწყობ-ზეინკლის სპეციალობაზე

სასწავლებელში ჩაირიცხებიან მხოლოდ საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები. სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიასა და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს, ფრიადოსანი მოსწავლეები მიიღებენ 25 პროცენტით გადიდებულ სტიპენდიას.

მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იგივე უპირატესობით, როგორითაც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნები ან სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი.

ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დრო ჩაითვლება უწყვეტ ზრომის სტაჟად. რაიონისდან ჩამოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სასწავლების დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს გარანტირებული ეძლევა სამუშაო ადგილი — ქარხანა „ელექტროატომაში“.

სასწავლის პერიოდში ვაჟებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება.

ბინა ეძლევა ოჯახებს, ოჯახებს ეძლევა ბინა ოჯახის ოდენობის მიხედვით.

ადგილი ეძლევა ბავშვთა ბაღში